დაე მარად
ცოცხლობდეს
ვლადიმერ ილიას ძე
ლენინის —
კომუნისტური პარტიისა
და მსოფლიოში
პირველი
სოციალისტური
სახელმწიფოს
შემქმნელისა და
ხელმძღვანელის
სახელი და საქმე!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№79 (6144)

1978 წ. 22 აპრილი, შაბათი

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

22 აპრილი ვ. ი. ლენინის დაბადების დღეა



# დღეს ლენინური შაბათობაა!

## ყველანი შრომის საყოველთაო დღესასწაულზე!

დღეს ათეული მილიონობით საბჭოთა ადამიანი მიაშურებს ფაბრიკებსა და ქარხნებს, მშენებლობებსა და საკოლმეურნეო ველ-მინდვრებს, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს დამკვრელური შრომის დღესასწაულში — საკავშირო ლენინურ კომუნისტურ შაბათობაში, რომელიც წლეულს ორმოცდამეცხრამეტედ ტარდება და დიდი ბელადის დაბადების 108-ე წლისთავს ეძღვნება.

კომუნისტური შაბათობები საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი სახელოვანი ტრადიციაა, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, ლენინური პარტიის გარშემო მშრომელთა მჭიდრო დარაზმულობის ნათელი დადასტურებაა. მაგალითად, შარშან შაბათობაში ჩვენი ქვეყნის 144 მილიონზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, წარმოებამ გამოუშვა 769 მილიონი მანეთის პროდუქცია, 160 მილიონი მანეთი მეათე ხუთწლედის ფონდში გადმოირიცხა. ეს თანხა ჯანმრთელობის დაცვის, სასწავლო დაწესებულებებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობას, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას მოხმარდა.

ლენინურ შაბათობებში ყოველთვის აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. წლეულს შრომის ეს ჭეშმარიტი დღესასწაული განსაკუთრებული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ტარდება, როცა ჩვენი ხალხი ცხოვრობს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შთაბეჭდილებებით.

კომუნისტურ შაბათობაში ფართოდ ჩაებმებიან რესპუბლიკის ფიზკულტურელები და სპორტსმენები. დღეს ისინი საცხოვრებელ ადგილებში, კულტურის პარკებში და დასვენების ზონებში მოაწყობენ მარტივი ტიპის სპორტულ მოედნებს, სასროლო ტირებსა და წინაღობათა ზოლებს, ჩაატარებენ არსებული სპორტული ბაზებისა და ნაგებობების რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოებს, მონაწილეობას მიიღებენ ზაფხულის სპორტული სეზონისთვის სპორტული ბაზების მომზადების ერთთვიურში.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მუშაკები თელეთის მიდამოებს მიაშურებენ, დარგავენ ხეებს, კეთილმოაწყობენ იქაურობას. მრავალფეროვანია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის შაბათობის მოსამზადებელი შტაბის სამუშაო გეგმა. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, კომკავშირელები დაასუფთავებენ სასწავლებლის ტერიტორიას, ჩაატარებენ „გამარჯვების" კულტურისა და დასვენების პარკის კეთილმოწყობის სამუშაოებს, დაეხმარებიან საცურაო აუზისა და დახურული საჩოგბურთო კორტის მშენებლებს.

თბილისის ცენტრალური ველოდრომის თანამშრომლები დაასუფთავებენ და კეთილმოაწყობენ ბაზის ტერიტორიას, გააშენებენ გაზონს, დარგავენ ხეხილს, ვენახს, აგრეთვე, 130 ძირ ალვის ხეს.

ლენინური შაბათობის დღეს დამკვრელური შრომით აღნიშნავენ, აგრეთვე, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტების მუშაკები.

საქართველოს ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო!

ყველამ, როგორც ერთმა მიიღეთ მონაწილეობა ლენინურ შაბათობაში, ამრავლეთ მეათე ხუთწლედის ხვავი და ბარაქა, თქვენი წვლილი შეიტანეთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში!

## ჭიდაობა

### თანატოლთა შორის პირველი

**გომელში** დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. კარგად იასპარეზა ქუთაისელმა ფალავანმა მ. კოპალიანმა (65 კგ) და ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

დანარჩენ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს გ. ქოჩარიანმა (ერევანი), ტ. კალიმულინმა (ომსკი), ხ. ბაზორკინმა (გროზნი), ი. გრუზნიხმა (მოსკოვი), ა. ლიმაევმა (გროზნი), ა. ზაურბეკოვმა (გროზნი), ო. მანშინმა (ალმა-ათა), ა. ავულოვმა (ალმა-ათა), ვ. არუთინიანმა (ერევანი), ს. პოპოვმა (ნოვოსიბირსკი), ი. რასტოროცკიმ (ანაპა).

## სროლა

### 600-დან 600!

**ეშერას** „დინამოს" სასროლეთზე დაიწყო ტყვიის მსროლელთა საკავშირო შეჯიბრება ოლიმპიურ ვარჯიშებში და სსრ კავშირის ჩემპიონატი არაოლიმპიურ სახეობებში.

პირველ დღეს მცირეკალიბრიანი შაშხანის 50 მეტრიდან წოლექლა სროლაში 64 მონაწილე ჩაება. ვინაიდან ერთდროულად ცეცხლის ხაზზე მხოლოდ 40 სპორტსმენის ადგილია, ტურნირი ორ ცვლად გაიმართა.

27 წლის პოლტაველმა ა. კურილოვმა 600 შესაძლებლიდან 600 ქულა მოაგროვა! მან შარშანაც ორჯერ აჩვენა ასეთი შედეგი. ერთხელ წლეულსაც გაიმეორა, მაგრამ ამჯერად საყურადღებო ის გახლავთ, რომ ეშერაში იგი სამამულო წარმოების ვაზნებით ასპარეზობდა.

კურილოვს ორ-ორი ქულით ჩამორჩნენ ი. მედოევი (ლენინგრადი), ა. კლიმოვი (რსფსრ), ვ. ნიკოლაევი (მოსკოვი), რ. ჰორნი (ესტონეთი) და ლატვიელი ა. დაუშკა.

ექვსმა უძლიერესმა მსროლელმა მოიპოვა ქვეყნის პირად პირველობაში ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლის უფლება.

შეჯიბრება გრძელდება.

საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის შესახვედრად

# მთავარი პირობა

## იმისა, თუ როგორ აღზარდო ყოველმხრივ განვითარებული შეგირდები

**მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდასა და სამხედრო-სპორტული თამაშის „ორლიონოკის" ორგანიზაციაში მოპოვებული წარმატებებისთვის არგვეთის პაოლო იაშვილის სახელობის საშუალო სკოლა დაჯილდოვდა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის დიპლომით.**

**ისე** მესაუბრებოდა, თითქოს შიშობდა, ზედმეტი, უინტერესო არაფერი წამომცდესო, თავდაჭერით მიამბობდა სკოლის წარმატებებზე.

საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის პაოლო იაშვილის სახელობის საშუალო სკოლის დირექტორთან ვსაუბრობდი. მარტი იდგა. გულისგამაწვრილებლად წვიმდა და ორივე უხალისოდ ვიყავით, ალბად ამიტომაც იყო, რომ ჯიქური ქავთარაძე, — სკოლის დირექტორი, — ცოტა არ იყოს, უნდობლად შემხვდა. მასპინძელს თავიდანვე გავანდე „საიდუმლო", სკოლის ცხოვრებაზე მიამბეთ, იმ სკოლისაზე, რომლის შესახებაც ორიოდე დღის წინ პრესაში საქები სიტყვები იყო ნათქვამი-მეთქი. არგვეთის სკოლის საკავშირო დიპლომით დაჯილდოებას ვგულისხმობდი. მეგონა, გუნება გამოუკეთდებოდა. შევცდი, მაინც სიტყვაძუნწობდა...

საგაზაფხულო არდადეგების დროს ვეწვიე სკოლას. ასე დაემთხვა, სულ სხვა საქმეზე ვიყავი იმერეთში ჩასული. ჭიათურაში გახლდით, მაგრამ გულმა ვერ მოითმინა და საჩხერეს, არგვეთს ვესტუმრე. რა თქმა უნდა, მოსწავლეების ნახვის იმედი არ მქონია და არც არავინ დამხვდა სკოლაში, ვერც ფიზაღზრდის მასწავლებლებს — ქუქუნა ფანჩულიძესა და იაკობ ბლიაძეს მივუსწარი. დილით იყვნენ და წავიდნენო, მითხრეს. მხოლოდ ჯ. ქავთარაძე, სკოლის ორგანიზატორი გიორგი ჯოხაძე და დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებელი ვასილ კიპაროიძე დამხვდნენ. მათთან საუბარში ერთი მთავარი ვიგრძენი — მთელი პედაგოგიური კოლექტივი მტკიცედ შეკრული მუშტია, რომლის საქმე და საზრუნავია აღზარდოს ისეთი თაობა, რომელიც, უკვე დავაჟკაცებული და დაფრთიანებული, დიდ სიმაღლეებს შეეჭიდება, ყველა სიძნელეს ვაჟკაცურად გადაუდგება წინ და უყოყმანოდ დასძლევს მას.

...არგვეთის საშუალო სკოლაში სწავლასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურასა და სპორტს, სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. არგვეთელ ახალგაზრდებს აქვთ ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სპორტული დარბაზი, მარტივი ტიპის კომპლექსური მოედანი, 18-მეტრიანი ღია საცურაო აუზი, რომელიც სისტემატურად უზრუნველყოფილია წყლით. სკოლას აგრეთვე აქვს 25-მეტრიანი ტირი, ხოლო ფეხბურთის სათამაშოდ არგვეთელი მოსწავლეები სოფლის ფეხბურთის მინდორს იყენებენ.

სკოლაში შექმნილია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჭადრაკის, მძლეოსნობის სექციები, ხოლო რაიონის სპორტსკოლის ტანმოვარჯიშეთა ჯგუფის წევრები სწორედ ამ სკოლის დარბაზში მეცადინეობენ. სასწავლებელში ჩამოყალიბებულია ავტოსექცია, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს 70 კურსდამთავრებული მძღოლის მოწმობას იღებს. აქაური მოსწავლეები ხშირად ლაშქრობებშიც დადიან, სკოლის 3 პიონერული რაზმი დაჯილდოებულია გაზეთ „ნორჩი ლენინელისა" და ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგურის დიპლომით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არგვეთელ ახალგაზრდებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტურიზმს, ჩვენ აქვე დავათვალიერეთ სამხედრო მომზადების კეთილმოწყობილი კაბინეტი...

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვა სკოლამ საკავშირო დიპლომი. მაგრამ, ამისთვის საჭიროა ცოტა შორიდან დავიწყოთ. მთავარი პირობა არგვეთელი მოსწავლეების გამარჯვებისა ის გახლავთ, რომ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სკოლის აღმზრდელები ძალ-ღონესა და გამოცდილებას არ იშურებენ შეგირდების ყოველმხრივ, ჰარმონიულად აღზრდისთვის. აქ ერთი პრინციპით მოქმედებენ — ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის. სწორედ ეს დაედო საფუძვლად არგვეთელი ქალიშვილებისა და ჭაბუკების გზას, გზას, რომელმაც ისინი გამარჯვებამდე მიიყვანა.

1977 წელს არგვეთის საშუალო სკოლამ ყველა მაჩვენებლის მიხედვით გაიმარჯვა რაიონის საშუალო სკოლებს შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის გარდამავალი დროშა დაისაკუთრა, ხოლო ახლახან ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მოპოვებული წარმატებებისთვის სასწავლებელს საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ჯილდო გადაეცა.

არგვეთელი ახალგაზრდები წარმატებით მონაწილეობენ სამხედრო-პატრიოტულ და სპორტულ თამაშებში „ორლიონოკსა" და „ცისკარში", ხოლო შარშან „იმედის სტარტების" პროგრამით გამართული რესპუბლიკური შეჯიბრების პირად ჩათვლაში აქაურ ნორჩ სპორტსმენებს ერთი პირველი და ერთიც მეორე ადგილი ერგოთ.

სასწავლებელში სათანადო სიმაღლეზეა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის საქმიანობა, ყველაზე ახლო ურთიერთობა მოსწავლეებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანატოლებთან აქვთ, ისინი ერთმანეთს უგზავნიან წერილებს, საჩუქრებს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეხუთე, ანუ შრომითი სემესტრის ორგანიზებულად წარმართვას.

ერთი სიტყვით, არგვეთის საშუალო სკოლის აღმზრდელებსა და აღსაზრდელებს საქმე არ ელევათ — სწავლას ფიზიკურ წრთობას უხამებენ, ფიზკულტურას — სამხედრო პატრიოტულ მომზადებას, ამ უკანასკნელს კი შრომით საქმიანობას. აი, სწორედ ყველაფერმა ამან მოაპოვებინა არგვეთელებს ის ჯილდო, რამაც ასე დაგვაინტერესა. სკოლა კიდევ ბევრი ინიციატივის ავტორია და გვჯერა, რომ იგი ყოველ მათგანს წარმატებით გადაჭრის.

დ. ბურული.

### ვ. ი. ლენინის დაბადების 108-ე წლისთავი

●

# რას გვასწავლის ბელადი

ადამიანის ჰარმონიულად განვითარება სოციალისტური წყობის ერთ-ერთი ამოცანაა. ეს სავსებით ბუნებრივია. კომუნიზმის მშენებელი, გულადი შემოქმედი არა მარტო ინტელექტუალური და სულიერი სილამაზით შემკული, არამედ ფიზიკურად სრულყოფილიც უნდა იყოს. მხოლოდ ძლიერი და გამძლე ხალხი შეძლებს დაძაბული საბრძოლო და შრომითი დღეების გავლით უქლასო საზოგადოებამდე ასვლას. რაც უფრო ღონიერი, ჯანმრთელი და ენერგიულია ადამიანი, მით უადვილდება მას ცხოვრების გზებზე სიარული, მით იოლად გადალახავს სიძნელეებს. ფიზიკურად და მორალურად ჯანმრთელ ადამიანებს მხიარული ცხოვრება აქვთ. ლენინური გვარდიის ვეტერანებმა ყველაზე უკეთ იცოდნენ ეს. ისინი ჯერ კიდევ რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ემზადებოდნენ მომავალი გამოცდებისთვის. თვით ვლადიმერ ილიას ძე ძალზე ჯანმაგარი ადამიანი გახლდათ. ფიზკულტურა და



სპორტი იყო მისი მუდმივი შემწე ჭაბუკობაშიც, ციხეშიც, გადასახლებაშიც და ემიგრაციაშიც. ლენინს უყვარდა ციგურები და ველოსიპედი, ფეხით სეირნობა და ნადირობა და ის ვარჯიშები, რომლებსაც ჩვენ ახლა გამაჯანსაღებელს ვუწოდებთ. ფიზკულტურის სიყვარულმა ბევრი რამ მისცა ლენინს პროფესიონალი რევოლუციონერის დაძაბული ცხოვრებისთვის. საბჭოთა ხალხის ახლანდელმა თაობამ, 20-იანი და 30-იანი წლების კომუნისტების მსგავსად, კარგად უნდა იცოდეს ეს. აი, რას წერს სკკპ წევრი 1926 წლიდან, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი, ომში ხელი ს. ვერეიმეი: „ორმოცი წლის წინათ ციმბირში დამკვიდრებული იყო კარგი ტრადიცია: კომკავშირელს, რომელიც პარტიაში შესასვლელად ემზადებოდა, პარტუჯრედის მდივანი აძლევდა პოლიტგანათლებისთვის დამხმარე წიგნს და ურჩევდა კარგად შეესწავლა იგი. მაშინ მე შემხვდა ბროშურა „რას გვასწავლის ლენინი". ამ პატარა, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ წიგნს სათუთად ვინახავ. წიგნის ილუსტრაციებში არის გრავიურა, რომელზედაც გამოსახულია ვლადიმერ ილიას ძე ლენინი შვეიცარიის მთებში მოგზაურობისას".

ილუსტრაციას ძველი ბოლშევიკის პ. გ. კერჟენცოვის წიგნიდან „რას გვასწავლის ლენინი", წარსულში გადავყავართ: ალპების დათოვლილი მწვერვალის ფონზე, ფრიალო კლდეზე დგას ლენინი. იგი ჩაფიქრებული იყურება შორს. რას ხედავს იქ ლენინი? რუსეთის მეფეების დაცემულ რეზიდენციას — ზამთრის სასახლეს? „ავრორის" თვალისმომჭრელ პროჟექტორებს? ვოლხოვშენის პირველ ჩირაღდნებს? ან, შეიძლება, ვარსკვლავს იმ კოსმოსური ხომალდისას, რომლითაც აიჭრა კოსმოსში იური გაგარინი...

მოსკოვი — ჩვენი ქვეყნის გული, მსოფლიოში ყველაზე დიდი სპორტული დღესასწაულის — ოლიმპიური თამაშების მოლოდინშია.

მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა ამ გრანდიოზულ ფორუმისთვის კარგა ხანია ემზადება დედაქალაქი. უკვე აშენებულ ოლიმპიურ სარბიელს კვლავ ემატება სპორტული დარბაზები, მოედნები, შენდება ოლიმპიური სოფელი, მიმდინარეობს სპორტული ბაზების რეკონსტრუქცია.

ერთი სიტყვით, მოსკოვი დიდ სამზადისსა და მოლოდინშია. ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე კი აქ სპორტული ცხოვრება დუღს — ხშირად იმართება საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებები, მასობრივი კროსები, სხვა ასპარეზობანი...



სურათებზე: საწყლოსნო მოთხილამურეები მდინარე მოსკოვზე (მარცხნივ); მძლეოსნური კროსის მონაწილენი მოსკოვის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე.

## ბავშვთა სპორტის განვითარებას — შეუნელებელი ყურადღება

# იმედის თვალით

ხელბურთმა საქართველოში იმთავითვე მიიპყრო ახალგაზრდების ყურადღება. გაჩნდა პირველი გუნდები, რომლებიც ძირითადად ენთუზიასტების მიერ შეიქმნა. გაიზარდა გეოგრაფიაც: ხელბურთის თამაში დაიწყეს ბათუმში, ფოთში, სოხუმში... ახლად შექმნილმა თბილისის ვაქთა გუნდმა ჩაატარა რამდენიმე საქალაქთაშორისო შეხვედრა და არცთუ წარუმატებლად. სულ მალე სპორტის ეს სახეობა ისე პოპულარული გახდა ჩვენს ქვეყანაში, რომ საკავშირო ჩემპიონატების ჩატარებაც დაიწყეს. როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი სწორედ საქართველოს გუნდი — თბილისის „ბურევესტნიკი" გახლდათ, რომელიც შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში იყო საბჭოთა ხელბურთის ტონის მიმცემი.

ქართული ხელბურთი არაერთხელ უსახელებიათ ისეთ მოთამაშეებს როგორიც იყვნენ: ჯ. ცერცვაძე, ი. ფხაკაძე, ჯ. აბაიშვილი, თ. ანთაძე, ა. ექსეულიძე, ჯ. ბაგრატიონი, ლ. კარტოზია და სხვ. მაგრამ გავიდა დრო, გუნდი დატოვეს ვეტერანებმა და, როგორც სპორტის ყველა სახეობაში, დადგა თაობათა ცვლის რთული პროცესი, რასაც რესპუბლიკის პირველმა გუნდმა საკმაოდ დიდი დრო მოანდომა. მხოლოდ 1975 წლიდან შეძლო გუნდმა წინსვლა, როცა მწვრთნელ ი. ფხაკაძის ხელმძღვანელობით მოიპოვა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისა და 1977 წლის საკავშირო პირველობათა ბრინჯაოს მედლები. ჩვენი გუნდის წევრი ა. ანპილოგოვი კი მონრეალიდან ოლიმპიური ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

საიდან უნდა მიიღონ რესპუბლიკის პირველმა გუნდებმა შევსება? რა თქმა უნდა, მომავალი ხელბურთელები ბავშვებში უნდა ვეძებოთ. სწორედ ამ მიზნით 1975 წელს გაიხსნა განათლების განყოფილებასთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპეციალიზებული სპორტული სკოლა, რომელსაც შემდგომ ძიენიჭა ოლიმპიური რეზერვის სახელი. მას სათავეში ჩაუდგა წარსულში ცნობილი ხელბურთელი, სპორტის ოსტატი ჯ. ცერცვაძე. გარკვეული სიძნელეების (ბაზების უქონლობა, კონტინგენტის შერჩევისას დროის სიმცირე) მიუხედავად, ახალშექმნილმა სკოლამ პირველად ძნელად, შემდგომ უფრო თამამად გადადგა წინსვლის ნაბიჯები.

თუ გადავხედავთ სკოლის სამი წლის ისტორიას, დავინახავთ, რომ თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა გუნდში, რომელიც საკავშირო პირველობაზე თამაშობს, ჩვენი სკოლის 6-7 აღზრდილი, ხოლო „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდში ორი ჭაბუკი ვარჯიშობს.

სკოლის საშუალო ასაკის ჭაბუკთა გუნდი უკვე ორი წელია წარმატებით გამოდის საკავშირო პირველობებსა და ტურნირებში. გუნდმა 1976 წელს რამდენიმე საკავშირო ტურნირში საპრიზო ადგილები მოიპოვა, შარშან საკავშირო პირველობის ვერცხლის პრიზიორი გახდა, ხოლო წელს ფინალური I ტურის შემდეგ III ადგილზეა. ამავე ასაკის გოგონათა გუნდმა 1976 წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე IV ადგილი დაიკავა და რიგის საკავშირო ტურნირში გაიმარჯვა, უმცროსი ასაკის გუნდები „მფრინავი ბურთის" I საკავშირო პირველობაში IV საპატიო ადგილზე გავიდნენ. გამოჩნდნენ პერსპექტიული მოთამაშეები, რომლებსაც სათანადო ვარჯიშის შემდეგ შეუძლიათ შეავსონ ძლიერი გუნდები.

ესენი არიან: ჭაბუკები მ. ჩხარტიშვილი, ლ. და დ. აბესაძეები, გ. მამულაშვილი, გ. კახიანი, კ. ენუქიძე, გ. კარტოზია; გოგონები ი. მაისურაძე, ა. შკეპასტი, ს. ემიშიანი, დ. მხეიძე. ნაკრებ გუნდებს ავარჯიშებენ მწვრთნელები ჯ. ცერცვაძე, გ. მაჭავარიანი, ო. შაქარაშვილი და რ. ჭანტურია.

სკოლის ნაკრები გუნდები უკვე სამი წელია პირველობას არავის უთმობენ ჩვენს რესპუბლიკაში. ბავშვებთან ნაყოფიერად მუშაობენ მწვრთნელები თ. მაცუკაშვილი, ა. ავაკიმოვი, თ. ჩხაიძე, ლ. სალამახინა, გ. შარანგია, ლ. სოროკინი და სხვები.

სამწუხაროდ, სკოლას სიძნელეებიც აქვს გადასაჭრელი. ესაა ბაზებისა და ხარისხიანი ბურთების მცირე რაოდენობა. მწვრთნელები თვითონ დაეძებენ ბაზებს. ბევრი საშუალო სკოლის (150-ე, 101-ე, 130-ე, 154-ე და 131-ე) ხელმძღვანელობა გვითმობს თავის დარბაზებს. დიდ დახმარებას გვიწევს და ნაყოფიერად მუშაობს ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლის (დირექტორი შ. ჯაფარიძე) ხელბურთის ჯგუფები.

ჩვენს რესპუბლიკაში კარგ თაოსნობას ჩაუყარა საფუძველი ჩვენმა სკოლამ, როცა გადაწყვიტა ჩაეტარებინა საქალაქო შეჯიბრება მინი-ხელბურთში. მასში მონაწილეობდნენ 10-11 და 12-13 წლის გოგონები და ბიჭები. ბავშვთა ხელბურთის დღესასწაულში სულ 23 გუნდის 300-მდე მოსწავლე გამოვიდა. თამაშები ჩატარდა ორ ტურად, ასპარეზობა ძალზე საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა. დებულების თანახმად, პირველ ნახევარში ბავშვები აუცილებლად თამაშობდნენ პრესინგს, რაც ამ ასაკის სპორტსმენთათვის ძალზე სასარგებლოა. იგი უვითარებს მათ მოედნის ხედვასა და მოთამაშეებისგან მეტ მოძრაობასა და გამომგონებლობას მოითხოვს. 10-11 წლის გოგონებში გაიმარჯვეს ჩვენი სკოლის მწვრთნელის ლ. სალამახინას აღსაზრდელმა, ხოლო ჭაბუკებში — ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლის გუნდმა, სადაც ნაყოფიერად მუშაობს მწვრთნელი ვ. ვარამაშვილი. 12-13 წლის გოგონათა შორის პირველობა მოიპოვეს ჩვენი სკოლის მწვრთნელის თ. ჩხაიძის, ხოლო ჭაბუკებში — ამავე სკოლის მწვრთნელის ლ. სოროკინის აღსაზრდელებმა. კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს მწვრთნელებმა თ. მაცუკაშვილმა, ა. ავაკიმოვმა და რ. ჭანტურიამ. ამ შეჯიბრებამ ნაწილობრივ დაგვანახა ჩვენი ხელბურთის მომავალი, მისი პერსპექტივები და ნაკლი. გამოჩნდნენ პერსპექტიული მოთამაშეები, რომელთაგანაც შეიქმნა ნაკრები გუნდები საკავშირო ტურნირისთვის („მფრინავი ბურთი"). მომავალში დაგეგმილია ასეთი შეჯიბრების გამართვა 8-9 წლის ასაკის ბავშვების მონაწილეობითაც.

მომავალს იმედის თვალით ვუყურებთ — შენდება სპორტული კომპლექსი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ჩვენს რესპუბლიკაში.

სკოლაში მიიღებიან 8-12 წლის ბავშვები, რომლებსაც სექტემბერში შეარჩევენ კვალიფიციური მწვრთნელები.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენს სპორტსკოლას დიდად ეხმარებიან საქართველოს განათლების სამინისტრო და თბილისის განათლების განყოფილება.

**რ. ჭანტურია,**
**თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ხელბურთის სპეციალიზებული სპორტული სკოლის უფროსი მწვრთნელი.**

# ძია მიშასთან, ღია «დარბაზში»

— დირექტორი სპორტსკოლაში დღის პირველი საათისთვის მოდის და გვიან ღამემდე რჩება. ახლა კი ალბათ, შინ იქნება, საკარმიდამო ნაკვეთში თუ მუშაობს...

მართლაც, მიხეილ წილოსანი ნაკვეთში აღმოჩნდა, თავს დასტრიალებდა „ცხენს", ფეხებს უწმენდდა. მაგრამ ეს ნამდვილი ცხენი კი არა, ტანვარჯიშული ტაიჭი იყო, რომელიც სხვა იარაღებთან ერთად მთელ ზამთარს გარეთ იდგა.

მ. წილოსანის ოჯახის მიერ შექმნილ უნიკალურ საოჯახო სპორტულ კომპლექსში შედის საცურაო აუზი, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომების სექტორი. სპორტსკოლის გახსნამდე ეს საუკეთესო სპორტული ბაზა იყო ლანჩხუთის რაიონში.

მ. წილოსანის სახლის ეზოში ტანმოვარჯიშეთა საზაფხულო შეკრებებიც ხშირად გამართულა. სხვათა შორის, ლანჩხუთის რაიონის მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მესამე ჯგუფში გამოდის, რომლის პროგრამაშიც სპორტული ტანვარჯიში არ შედის, მაგრამ ლანჩხუთელებისთვის გამონაკლისს უშვებენ. შარშან კი გუნდი მეორე ჯგუფში გამოვიდა და გაიმარჯვა ისეთი ქალაქების კოლექტივებს შორის, როგორიცაა გორი, ზუგდიდი, რუსთავი, ზესტაფონი...

გაზაფხული დადგება თუ არა, ამ სახლის კარი მუდამ ღიაა მოსწავლეთათვის. ისინი ჯგუფ-ჯგუფად მოდიან და ძია მიშას ღია „დარბაზში", სხვადასხვა სიმაღლის სამი ძელი, ამდენივე რგოლები და ორძელი პედაგოგს შესაძლებლობას აძლევს სისტემატურად ავარჯიშოს ნორჩი ტანმოვარჯიშეები.

თითქმის 35 წლის პედაგოგიური საქმიანობის მანძილზე მ. წილოსანმა აღზარდა ფიზკულტურის მრავალი მასწავლებელი, რომლებიც ამჟამად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მუშაობენ.

მას ოჯახიც სპორტული ჰყავს. სამი ვაჟი მამის კვალს გაჰყვა — ისინიც ფიზკულტურის მასწავლებლები გახდნენ. ქალიშვილი მანანა თანრიგოსანი ტანმოვარჯიშეა და მის მუსიკალურ აკომპანიმენტზე ნორჩი სპორტსმენები თავისუფალ ვარჯიშებს ეუფლებიან.

— „მიშა, შენგან მაღალი კლასის ტანმოვარჯიშე ვერ დადგება", — სინანულით უთხრა მწვრთნელმა, როცა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ტანად ჭაბუკს. იგი 180 სანტიმეტრი სიმაღლის იყო და 90 კილოგრამს იწონიდა, მაგრამ ტანვარჯიშზე უსაზღვროდ შეყვარებულმა მ. წილოსანმა სპორტის სხვა სახეობას გული ვერ დაუდო, არ შეურიგდა მწვრთნელის „განაჩენს" და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში განაგრძო სწავლა, რომელიც 1939 წელს დაამთავრა. იგი უფროს მასწავლებლად გაგზავნეს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. აქედან კი დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ფრონტზე წავიდა. მეთაურობდა ნაღმტყორცნელთა ასეულს, ვაჟკაცურად ებრძოდა მტერს კავკასიის მისადგომებთან. მშობლიურ ლანჩხუთის რაიონს მ. წილოსანი 1947 წელს დაუბრუნდა და ფიზკულტურის მასწავლებლობა დაიწყო. ახლა იგი რაიონის სპორტულ სკოლას ხელმძღვანელობს, რომლის შექმნასაც დიდი ამაგი დასდო.

**ა. დადიანი.**
**საქინფორმი.**

# ასპარეზობენ მოსწავლეები

● **თერჯოლა.** ერთ თვეზე მეტია მიმდინარეობს მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადა. დღეებში გაიმართა შეჯიბრებები კალათბურთსა და ფრენბურთში.

კალათბურთელთა ტურნირში ყველას აჯობა სოფელ ჩხარის საშუალო სკოლის გუნდმა, ფრენბურთელთა შეჯიბრება კი თერჯოლის 1-ლი საშუალო სკოლის კოლექტივმა მოიგო.

**ე. ჯიშიაშვილი,**
**თერჯოლის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორი.**

● **სამტრედია.** ჩატარდა მოსწავლეთა ზონალური პირველობა კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ზუგდიდის, ცხაკაიას, ტყიბულისა და სამტრედიის რაიონების ნაკრები გუნდები.

როგორც გოგონათა, ისე ვაჟთა შორის I ადგილი მასპინძლებს ერგოთ.

**ი. ნიკოლეიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

*კრიზი, რომელსაც ყველა ერთად უნდა დავეუფლოთ*

# ...პასუხს კი ყველა აგებს

**პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციის პრიზისთვის „გუნდთან ერთად“ ბრძოლაში ლიდერობენ ბაქოელები და ოდესელები.**

მეორე ტურის წინ საფიქრებელი იყო, რომ ამ პრიზისთვის ბრძოლაში თავის მოწინავე პოზიციებს განიმტკიცებდნენ თბილისელები, რომელთა აქტივში 105 ქულა იყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თბილისისა და კიევის დინამოელთა მატჩის დროს, რომელიც ტელევიზიით გადაიცემოდა, ბევრმა დაინახა, რომ კონკოვმა, რომელიც გაფრთხილებას იღებდა, მსაჯს გაუწოდა „ნივთმტკიცება“ — ტრიბუნიდან ნასროლი რაღაც საგანი. მაყურებლის უდისციპლინობის ფაქტი დაადასტურა მატჩის არბიტრმა ა. კადეტოვმაც. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვასახიერებთ ერთ წესრიგის დამრღვევს 70 ათას ფეხბურთის ჭეშმარიტ მოყვარულთან, რომლებიც მოვიდნენ მატჩზე, რათა დაესვენათ, დამტკბარიყვნენ სპორტსმენთა ოსტატობით, მხარი დაეჭირათ თავისიანებისთვის და ჯეროვნად დაეფასებინათ სტუმრები. და მაინც, თბილისელებს, რომლებმაც მეორე ტურში დააგროვეს 120 ქულა, გრაფაში „მაყურებლები“ გამოაკლდათ 30 ქულა. და კიდევ 10 — კანთელაძის მიერ მიღებული გაფრთხილებისთვის. საბოლოოდ კოლექტივს დარჩა 80 ქულა, ორი შეხვედრის ჯამში კი 185.

ცნობილი გახდა პირველი ტურის მატჩის — „ქაირათი“ — „ლოკომოტივი“ ახალი დეტალები. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, მატჩის მსაჯი-ინსპექტორი ტ. ბახრამოვი არასწორი ინფორმაციისთვის ჩემპიონატის თამაშების მომავალი გასინჯვისაგან გადაყენებულია. დისკვალიფიცირებული არიან „ქაირათის“ უფროსი მწვრთნელი ს. კამინსკი (20 საჯარიმო ქულა), მოთამაშეები ორდაბაევი და ლიხოშერსტნიხი (20-20 ქულა), მატჩის მსვლელობისას წესრიგის დარღვევისთვის გაფრთხილებულია ალმა-ათის სტადიონის ადმინისტრაცია (30 ქულა). გავიხსენოთ, რომ იმ შეხვედრაში გაფრთხილებული იყო ბაიშაკოვიც (10 ქულა). ამრიგად, „ქაირათმა“ დაკარგა პირველ ტურში მოგროვილი ყველა ქულა და ამჟამად მას აქვს მხოლოდ 80 ქულა, რომელიც მოაგროვა მეორე ტურში (16000 მაყურებელი — ოცი ათასზე ქვემოთ თითოეულ ათასზე მინუს 5 ქულა).

პირველ ტურში მოგროვილ 100 ქულას „ფახთაქორმა“ მიუმატა 80 (გაფრთხილება მიიღეს აშიროვმა და მოგილნიმ). „არარატმა“ მეორე ტურში მოაგროვა 50 ქულა (10 ათასი მაყურებელი) და ამჟამად 140 ქულა აქვს. „დნეპრს“ — 160. ბაქოელებს და ოდესელებს — 200-200 ქულა.

**ვ. ასაულოვი,**
**პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.**

(„სოვეტსკი სპორტი“).

## ჩვენი კომენტარი

*ამრიგად, ერთი და 70000! ერთი ვაიგულშემატკივარი, რომელიც სახელს უტეხს ნამდვილ სპორტის მოყვარულთა მთელ არმიას. იმ ერთის უგნური მოქმედებით ჩრდილი ადგება ჩვენი მაყურებლის კეთილ სახელს, თვით „დინამოს“ მთელ კოლექტივს და, ბოლოს, თუ გნებავთ მთელი რესპუბლიკის სახელსაც.*

*ის კი, ვინც იმ დღეს ვერ მოთოკა თავისი ვნებათაღელვანი, რაც, უნდა ვიგულისხმოთ, კიეველი კონკოვის მიერ წესის დარღვევით იყო გამოწვეული, რომ იტყვიან „ამაოდ დაშვრა“ — კონკოვს ხომ მსაჯმა თავისი მიუზღო — ყვითელი ბარათით გააფრთხილა მინდორზე წესრიგის დამრღვევი! მაშ რაღა „გაგვიკეთა“ მისმა გამოხდომამ?*

*შედეგი ნათელია — მილიონობით ტელემაყურებელმა ნახა მისი „ნახელავი“. ნახა და ეჭვის ჭიაც ალბათ არაერთს გაუჩნდა — მოგონილი ხომ არ არისო ქართველ გულშემატკივართა ცნობილი ობიექტურობის, თავდაჭერისა და ზრდილობის ამბავი! კოლექტივმა კი დაკარგა მთელი 30 ქულა იმ პრიზისთვის ბრძოლაში, რომელიც მართლაც რომ შესანიშნავად ესადაგება სპორტული სანახაობის, სპორტისა და მაყურებლის ურთიერთობის, მათი კავშირის შინაარსს, — სპორტული პაექრობა ხომ წარმოუდგენელია მაყურებლის გარეშე, ეს ერთი, და მეორეც — ხომ ნათქვამია: მითხარ, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენ!*

*ჩვენს შესანიშნავ სპორტსმენებს, ჩვენს ფეხბურთელებს მართლაც რომ არ ეკადრებათ ისეთი მაყურებელი, იმ დღეს რომ „გამოიჩინა თავი“ „დინამოს“ სტადიონზე. ასეთები, ვფიქრობთ, არ გამოადგებათ არა მარტო სპორტსმენებს, არ გამოადგება იმ კოლექტივსაც, სადაც ის მუშაობს ან სწავლობს. არც არავის!*

*ეს, ვფიქრობთ, ნათელია, მაგრამ გაუგებარია სხვა რამ. ნუთუ იმ ვაიგულშემატკივარს არავინ ჰყავდა გვერდით? ადამიანები, რომლებიც, უბრალოდ, მაჯაში წაავლებდნენ მას ხელს, დააოკებდნენ და ეტყოდნენ: „აბა, მოქალაქევ, ნუ ხულიგნობ!“*

*ის კი, ვინ იცის, შეიძლება „ვაჟკაცობით“ თავსაც იწონებდა გარშემო მყოფთა შორის და გაგულიანებული იმით, რომ ყოველივე შერჩა, ხვალაც იგივეს გაიმეორებს, ან უარესს მოიმოქმედებს!*

*„ტრიბუნებზე — სანიმუშო წესრიგი!“ — ეს მოწოდება ყველას ეხება, სპორტული ბაზების დირექციებს, სპორტის მესვეურებს, და პირველ რიგში — მაყურებლებს. მხოლოდ შეგნებულ, კულტურულ მოქალაქეებს ძალუძთ წესრიგის დაცვა ჩვენს სტადიონებზე. მათ უნდა გამოისხან „ასი თვალი და ასი ყური“, რომ ვერავინ გაბედოს სახელი გაუტეხოს გუნდს, სტადიონს, მაყურებელთა არმიას და, თუ გნებავთ, მთელს ჩვენს რესპუბლიკას!*

---

# დავუჯეროთ ელექტრონულ მანქანას?

### ბრაზილიელები მსოფლიო ჩემპიონატებში

1930 — იუგოსლავიასთან 1:2, ბოლივიასთან 4:0.

1934 — ესპანეთთან 1:3.

1938 — პოლონეთთან 6:5, ჩეხოსლოვაკიასთან 1:1, 2:1, იტალიასთან 1:2.

1950 — მექსიკასთან 4:0, შვეიცარიასთან 2:2, იუგოსლავიასთან 2:0, შვეციასთან 7:1, ესპანეთთან 6:1, ურუგვაისთან 1:2 (ფინალური მატჩი).

1954 — მექსიკასთან 5:0, იუგოსლავიასთან 1:1, უნგრეთთან 2:4.

1958 — ავსტრიასთან 3:0, ინგლისთან 0:0, საბჭოთა კავშირთან 2:0, უელსთან 1:0, საფრანგეთთან 5:2, შვეციასთან 5:2 (ფინალური მატჩი).

1962 — მექსიკასთან 2:0, ჩეხოსლოვაკიასთან 0:0, ესპანეთთან 2:1, ინგლისთან 1:0, ჩილესთან 4:2, ჩეხოსლოვაკიასთან 3:1 (ფინალური მატჩი).

1966 — ბულგარეთთან 2:0, უნგრეთთან 1:3, პორტუგალიასთან 1:3.

1970 — ჩეხოსლოვაკიასთან 4:1, ინგლისთან 1:0, რუმინეთთან 3:2, პერუსთან 4:2, ურუგვაისთან 3:1, იტალიასთან 4:1 (ფინალური მატჩი).

1974 — იუგოსლავიასთან 0:0, შოტლანდიასთან 0:0, ზაირთან 3:0, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან 1:0, არგენტინასთან 2:1, ჰოლანდიასთან 0:2, პოლონეთთან 0:1 (მატჩი მესამე ადგილისათვის).

ცხადია, არ ღირს სიტყვის გაგრძელება იმაზე, თუ რას წარმოადგენენ ფეხბურთის სამყაროსათვის ბრაზილიელები. ელექტრონული მანქანა მათ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს. მანქანა იქით იყოს და ამავე აზრისაა ფრიად ავტორიტეტული მიმომხილველების დიდი ნაწილი.

ბრაზილიის ნაკრების მზადება მსოფლიოს პირველობისათვის დაიწყო 24 თებერვალს. საექიმო შემოწმების შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა კლაუდიო კუტინიომ და მისმა თანაშემწეებმა დაიწყეს ინტენსიური ვარჯიში, დღეში სამჯერ: ადრიანი დილით, შუადღით და საღამოთი. პროგრამაში იყო ფიზიკური მომზადება, ტექნიკის დახვეწა, მეცადინეობა ტაქტიკაში.

12 მარტისათვის დაინიშნა პირველი საკონტროლო მატჩი. ნაკრები შეხვდა კლუბ „ნიტეროის“ ახალგაზრდულ შემადგენლობას და გაიმარჯვა 7:0. გაცილებით ძნელი გამოდგა მატჩი 19 მარტს გოიაშის შტატის ნაკრებთან (3:1). მესამე მატჩში 22 მარტს ნაკრები შეხვდა პარანას შტატის ნაკრებს. შეხვედრა მეტად მძაფრად წარიმართა. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც 89-ე წუთზე ნაკრების თავდამსხმელმა ნუნიესმა გაიტანა.

ამის შემდეგ კუტინიომ გამოაცხადა გუნდის შემადგენლობა, რომელსაც ევროპაში გასტროლები ელოდა. გავეცნოთ ბრაზილიის ნაკრების ძირითადი კანდიდატების „სადარბაზო ბარათებს“.

მეკარე ლეაო (ემერსონ ლეაო), თამაშობს სან-პაულუს „პალმეირასში“, დაიბ. 1949 წ., 181 სმ, 80 კგ, ნაკრებში გამოდის 1970 წლიდან, აქ 58 მატჩი ჩაატარა.

დაცვა: ტონინიო (ანტონიო დიას დოს სანტოსი), თამაშობს „ფლამენგოში“, დაიბ. 1949 წ., 177 სმ, 75 კგ, ნაკრებში გამოდის 1976 წლიდან.

ამარალი (ჟოაო ჟუსტინ ამარალ დოს სანტოსი), თამაშობს „კორინტიანსში“, დაიბ. 1954 წ., 170 სმ, 65 კგ. ნაკრებში გამოდის 1975 წლიდან, ჩაატარა 24 მატჩი. კუტინიოს მიაჩნია, რომ დღეისათვის ამარალი ერთ-ერთი საუკეთესო მცველია მსოფლიოში.

ოსკარი (ჟოზე ოსკარ ბერნარდი), თამაშობს სან-პაულუს „პონტე პრეტაში“, დაიბ. 1954 წ., 186 სმ, 76 კგ. ევროპაში გასტროლებამდე ნაკრებში არ უთამაშია.

ედინიო (ედინიო ნაზარეთ ფილიო), თამაშობს „ფლუმინენსეში“, დაიბ. 1955 წ., 180 სმ. 75 კგ. ნაკრებში გამოდის 1977 წლიდან, ითამაშა 12 მატჩი, გაიტანა 1 გოლი.

შუა ხაზი: ჰერეცო (ტონინიო ჰერეცო), თამაშობს ბელუ ორიზონტეს „ატლეტიკო მინეიროში“, დაიბ. 1955 წ., 181 სმ, 70 კგ. ნაკრებში გამოდის 1977 წლიდან, ითამაშა 16 მატჩი, გაიტანა 3 გოლი.

დირსეუ (დირსეუ ჟოზე გიმარაეში), თამაშობს „ვასკო და გამაში“, დაიბ. 1952 წ., 171 სმ, 62 კგ. ნაკრებში თამაშობს 1973 წლიდან, მონაწილეობდა 15 მატჩში, გაიტანა 1 გოლი.

რიველინო (რობერტო რიველინო), „ფლუმინენსე“, დაიბადა 1946 წ., 179 სმ, 74 კგ. გუნდის „უხუცესი“ მოთამაშე და კაპიტანი, ბრაზილიის პრესის მონაცემებით ევროპაში ტურნემდე ნაკრებში ჩატარებული ჰქონდა 106 მატჩი, მაგრამ ზოგი მათგანი ფიფას მიერ არ არის რეგისტრირებული. ნაკრებში 41 ბურთი გაიტანა. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი მისთვის მესამე და, უნდა ვიფიქროთ, უკანასკნელიც იქნება. „ჩემი აზრით რიველინო მსოფლიოში უძლიერესი ფეხბურთელია. მასზე უკეთესი მოთამაშე ვერ წარმომიდგენია“, — აცხადებს კუტინიო.

თავდასხმა: ზიკო (არტურო ანტუნეშ კოიმბრა), თამაშობს „ფლამენგოში“, დაიბ. 1953 წ., 172 სმ, 69 კგ. ნაკრებში 1976 წლიდან გამოდის, ითამაშა 22-ჯერ და 16 ბურთი გაიტანა, „თეთრ პელეს“ უწოდებენ.

ტარსიზიო (ჟოზე ტარსიზიო დე სოუზა), პორტუ ალეგრეს „გრემიო“, დაიბ. 1951 წ., 177 სმ, 74 კგ. ნაკრების დებიუტანტი.

# მსოფლიოს თასი უხმობს რჩეულებს

•

## მესამე ჯგუფში: ბრაზილია, ავსტრია, ესპანეთი, შვეცია



რეინალდო (ჟოზე რეინალდო დე ლიმა), ბელუ ორიზონტეს „ატლეტიკო მინეირო“, დაიბ. 1957 წ., 173 სმ, 70 კგ, ნაკრებში გამოდის 1975 წლიდან, ჩაატარა 9 მატჩი, გაიტანა 1 ბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატის უპირველესი სნაიპერი.

გარდა ამ ფეხბურთელებისა, კუტინიომ დაასახელა ნაკრების დანარჩენი წევრებიც: მეკარე კარლოსი, მცველები ზე მარია, პოლოცი, როდრიგეს ნეტო, აბელი, ნახევარმცველი ბატისტა, თავდამსხმელები მენდოზა, ჟილი და ნუნიესი.

მწვრთნელმა ნაკრების შემადგენლობიდან გამოიყვანა ცნობილი ცენტრალური თავდამსხმელი რობერტო, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებებს. რაც შეეხება კიდევ ერთ კარგად ცნობილ ფორვარდ პაულო ცეზარს, იგი ბრაზილიაში ზედიზედ ორჯერ გააძევეს მინდვრიდან. „პაულო ცეზარი ნაკრებში არ ითამაშებს მანამდე, სანამ არ ისწავლის მინდორზე თავის დაჭერას“. — განაცხადა კუტინიომ.

და აი დაიწყო ნაკრების ტურნე ევროპაშიც, რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ ბრაზილიაშიც და „ძველ კონტინენტზეც“.

პირველი მატჩი გაიმართა 1 აპრილს, პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე. შეხვედრას 46 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. ფრანგების მწვრთნელი იდალგო მატჩის წინ დიდი სიძნელეების წინაშე დადგა. ხელი მოიტეხა ძირითადმა მეკარემ რემ, ტრავმების გამო ვერ გამოვიდნენ მინდორზე მცველები ჟანვიიონი, გუნდის კაპიტანი ტრეზორი, ნახევარმცველი ბატენეი, თავდამსხმელები როშტო და ლაკომბი.

პირველ ტაიმში სტუმრებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ. რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარე ბერტრანდემანმა. მეჩვიდმეტე წუთზე ზიკომ, რომელიც ცარიელი კარის წინ 5 მეტრზე იმყოფებოდა, ვერ შეძლო ბურთის გატანა. თამაშის მეორე ნახევარში ბრაზილიელებს დაღლილობა შეეტყოთ, ფრანგებმა კი მძაფრად შეუტიეს. 86-ე წუთზე პლატინიმ ბარონჩელის გადაცემიდან შეძლო ლამაზი გოლის გატანა და ბრაზილიელებმა დამარცხებულებმა დასტოვეს მინდორი. საინტერესოა, რომ ეს იყო ბრაზილიელთა პირველი დამარცხება 1974 წელს პოლონელებთან წაგების (0:1) შემდეგ.

აი რამდენიმე ცნობილი ექსპერტის აზრი ამ მატჩის შესახებ:

სესარ ლუის მენოტი (არგენტინის ნაკრების მწვრთნელი): „იმან, რაც ბრაზილიელებმა თამაშის პირველ ნახევარში გვიჩვენეს, დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. ბრაზილიელები ახლა მსოფლიოს ჩემპიონის წოდების № 1 კანდიდატებად მიმაჩნია. ფრანგები ჩვენს პირველ ჯგუფში თითოეული მეტოქისათვის ფრიად სახიფათონი იქნებიან“.

კლაუდიო კუტინიო: „ფრე თამაშის სამართლიანი შედეგი იქნებოდა. პირველ ნახევარში, როცა დიდი უპირატესობა გვქონდა, ვერ გავიტანეთ გოლი. მატჩი პარიზში მაინც ვარჯიში იყო და არა გამოცდა“.

ნაკრების წაგებამ ბრაზილიაში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ცნობილმა მწვრთნელმა მინელიმ განაცხადა, რომ კუტინიოს აშკარად არ ძალუძს ნაკრების მოვლა და საჭიროა სხვა ხელმძღვანელის დანიშვნა. ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ელენიო ნუნესს მოუხდა სასწრაფო განცხადების გაკეთება იმის შესახებ, რომ ერთი წაგება ბევრს არაფერს ნიშნავს.

პანიკა ბრაზილიაში სულ 4 დღეს გაგრძელდა. უკვე 5 აპრილს მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ჰამბურგში შეხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონებს — გფრ-ის ნაკრებს. მატჩს 60 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. ამჯერად ბრაზილიელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. მათი უპირატესობა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, აშკარა იყო. გერმანელებს, უპირველეს ყოვლისა, უმტყუნა შუა ხაზმა (ბონჰოფი, ფლოე, ბეერი), რომელიც აქამდე უძლიერესად ითვლებოდა. 76-ე წუთზე ნუნიესმა, რომელმაც რეინალდო შეცვალა, გაიტანა ბურთი და ბრაზილიელებმა გამარჯვებულებმა დასტოვეს მინდორი.

აი რამდენიმე ექსპერტის აზრი ამ მატჩის შესახებ:

გეორგ ერიკსონი (შვეციის ნაკრების მწვრთნელი): „ბრაზილიელებმა ევროპული ფეხბურთი გვიჩვენეს“. ერიკსონმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ორივე ბრაზილიელი განაპირა მცველი (ზე მარია და ედინიო) მარჯვედ ერთვოდა იერიშში. მას შემდეგაც კი, რაც მსუბუქად დაშავებულმა რიველინომ მინდორი დატოვა, ბრაზილიელების იერიშს სიმწვავე არ მოკლებია.

უვე ზეელერი (გფრ-ის ნაკრების ყოფილი კაპიტანი): „ბრაზილიელებმა სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვეს. მათ შეეძლოთ უფრო დიდი ანგარიშითაც კი მოეგოთ. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, მას შუა ხაზზე ყველაფერი რიგზე როდი ჰქონდა“.

„ჰანოვერშე ალგემაინე ცაიტუნგი“: „ბრაზილიელებთან სავსებით დამსახურებული დამარცხება ჩვენი გუნდის პირველი წაგება იყო 1974 წელს გდრ-ის ნაკრებთან მარცხის შემდეგ“ (ავტორი არ თვლის გფრ-ის ნაკრების წაგებას პენალტებით ბელგრადში ევროპის 1976 წლის ჩემპიონატზე ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან).

საინტერესოა, რომ ბრაზილიელებთან წაგების შემდეგ გფრ-ის წამყვანმა მიმომხილველებმა მოითხოვეს ნაკრებში გრაბოვსკისა და ბეკენბაუერის დაუყოვნებლად დაბრუნება.

ჰამბურგში გამარჯვებას მართლაც დიდი ფსიქოლოგიური ეფექტი ჰქონდა. ბრაზილიის პრესაში მაშინვე შეწყდა კუტინიოს კრიტიკა. მწვრთნელს მშვიდად მუშაობის საშუალება მიეცა. ბრაზილიელებმა მოიგეს, აგრეთვე, ორი მომდევნო მატჩი: საუდის არაბეთის ნაკრებთან 6:1 და მილანის „ინტერთან“ 2:0. ინგლისელებთან კი ფრე (1:1) ითამაშეს.

ევროპიდან დაბრუნების შემდეგ იწყება ბრაზილიელთა მზადების დასკვნითი ეტაპი. აქ კუტინიო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ორ მატჩს არგენტინელებთან. დაგეგმილია, აგრეთვე, რამდენიმე შეხვედრა საკლუბო გუნდებთან.

კუტინიოს აზრით ბრაზილიის ნაკრებმა თავისი ნამდვილი ძალა მაისისთვის უნდა უჩვენოს.

**გ. თორელი.**

## ნონა ყაიმებს დასჯერდა

დორტმუნდი, 20 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში, რომლის 12 მონაწილეს შორის არის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილი, კიდევ ორი ტური (VIII, IX) ჩატარდა.

შეხვედრებმა გაამძაფრეს ბრძოლა I პრიზისთვის. 9 ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს და დიდოსტატ რ. კინს (ინგლისი) 6,5-6,5 ქულა აქვთ, დიდოსტატ უ. ანდერსონს (შვეცია) 5,5 ქულა და ერთი მოსაგებ პოზიციაში გადადებული პარტია.

ნონამ VIII ტურში დიდოსტატ ი. ფარაგოსთან (უნგრეთი) უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ უპირატესობის გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა. მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

IX ტურში დიდოსტატმა ქალმა ოსტატ ორდენსენთან (გფრ) მოგების წინაპირობა შექმნა. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო, მაგრამ ანალიზისთვის მხოლოდ ერთი საათი ჰქონდა. როგორც ჩანს, ნონამ კარგად ვერ გაარჩია პოზიცია და ორდენსენმა შეძლო ყაიმის მიღწევა.

ამ დღეს ს. ტატაიმ (იტალია) მოუგო ფარაგოს, ა. გიპსლისმა (სსრ კავშირი) — კირსეკს (გფრ).

დარჩენილ ორ ტურში, ტატაისთან და კინთან შეხვედრებში ნონამ ქულანახევარი უნდა მოაგროვოს, ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი რომ შეასრულოს.

### ჭადრაკი

## ლიდერობს ჩემპიონი

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის IX ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს ჩემპიონის ზ. სტურუასა და თბილისის ჩემპიონის ი. ჩიქოვანის შეხვედრამ. გაიმარჯვა სტურუამ.

კარგად ითამაშეს სხვა ლიდერებმაც: დ. გედევანიშვილმა მოუგო მ. არჩვაძეს (სამტრედია), გ. ზაიჩიკმა — დ. ჩაჩიბაიას, ე. უბილავამ — ა. შახტახტინსკის (სოხუმი). მძაფრ ბრძოლაში რ. კაპანაძემ დაამარცხა ი. ცქიტიშვილი, რ. დადიანმა (სოხუმი) — ნ. ტერაშვილი (რუსთავი) და ი. კუზმინმა — ლ. ნეურონოვი (ბათუმი). ყაიმზე შეთანხმდნენ ნ. იოსელიანი — გ. ციხელაშვილი და რ. ლომიძე (გარდაბანი) — გ. მაჭარაშვილი.

X ტურში კურიოზულად დამთავრდა ჩიქოვანი — ნეურონოვის შეხვედრა. ჩიქოვანმა ეფექტური კომბინაციით ხარისხი მოიგო, მაგრამ მოეჩვენა, თითქოს უფიგუროდ დარჩა და მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. რა თქმა უნდა, ნეურონოვმა მიიღო წინადადება.

პირველი მარცხი იწვნია გედევანიშვილმა. მას დადიანმა მოუგო.

იოსელიანმა ფარ-ხმალი დააყრევინა არჩვაძეს, ზაიჩიკმა — კუზმინს, შახტახტინსკიმ — ჩაჩიბაიას, უბილავამ — ტერაშვილს, სტურუამ — ცქიტიშვილს და კაპანაძემ — მაჭარაშვილს. დაზავდნენ ციხელაშვილი — ლომიძე.

10 ტურის შემდეგ ზ. სტურუას 9,5 ქულა აქვს, გ. ზაიჩიკს — 9, დ. გედევანიშვილს — 8,5, ე. უბილავას — 8, ი. ჩიქოვანს — 7,5, ნ. იოსელიანს, რ. კაპანაძეს — 6-6.

**რ. თავარიანი,**
**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

## წარუმატებელი გაგრძელება

სოჭი, 20 აპრილი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა მოჭადრაკეთა შესარჩევი მატჩ-ტურნირის მეორე წრეში წარუმატებლად თამაშობს ზ. აზმაიფარაშვილი.

IX ტურში მან უარეს პოზიციაში გადადო პარტია ბ. ტაბოროვთან (კიევი), X ტურში კი დამარცხდა ზ. ლანკასთან (რიგა).

აზმაიფარაშვილის კოლეგებმა ასე ითამაშეს: IX ტური: ლ. ფსახისმა (კრასნოიარსკი) მოუგო ლ. ეოლიანს (ერევანი). დაზავდნენ ს. დოლმატოვი (მოსკოვი) — ლანკა და ა. ხარიტონოვი (ივანოვო) — ლ. იურტაევი (ფრუნზე). X ტური. ყაიმზე შეთანხმდნენ ტაბოროვი — ეოლიანი. ორი პარტია გადაიდო.

10 ტურის შემდეგ ლ. იურტაევს, ს. დოლმატოვს 5-5 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია აქვთ, ბ. ტაბოროვს — 5 (1), ა. ხარიტონოვს, ზ. აზმაიფარაშვილს — 4,5-4,5 (2-2).

**ა. ბუსლაევი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**

## ტონს აძლევს სტუდენტი

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს დედაქალაქის ქალთა პირველობა, რომელშიც 16 მოჭადრაკე თამაშობს. შეჯიბრების პირველი სამი პრიზიორი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ქალთა ჩემპიონატში, რომელიც ქუთაისში ჩატარდება 20 მაისიდან.

განვლილია 11 ტური. ლიდერობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის სპეციალიზაციის პირველკურსელი სტუდენტი, ოსტატობის კანდიდატი ლ. თანდაშვილი — 8,5 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ოსტატობის კანდიდატი ლ. კოროშინაძე. 7 ქულა აქვს ვეტერან მოჭადრაკეს ლ. ბელოზიოროვას.

## პრიზიორია მოსწავლეც

კალკუტაში (ინდოეთი) საბჭოთა კულტურული ცენტრის ხელშეწყობით ორი წლის წინათ შეიქმნა ა. ალიოხინის სახელობის საჭადრაკო კლუბი. ამას წინათ კლუბმა მოაწყო პირველი ეროვნული ტურნირი, რომელშიც გაიმარჯვა ს. სახუმ (მახარაშტრას შტატი).

ტურნირში ინდოეთის ყველა შტატის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ერთ-ერთი პრიზი მიიღო 11 წლის ასამაელმა მოსწავლემ დ. ბარუამ.



ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში ჯერ ისევ ზამთარია, სამხრეთში კი — შუა გაზაფხული. დღეს თუ არა ბათუმის ზღვისპირა პარკის ხეივნებში ველოსიპედისტები გამოჩნდნენ.

საკდესის ფოტო.

# არგენტინის ფორუმამდე 40 დღეა

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების დაწყებამდე დარჩა 40 დღე. ჩემპიონობის მაძიებელნი ინტენსიურად ემზადებიან გადამწყვეტი ორთაბრძოლებისთვის.

მსოფლიოს ჩემპიონებმა — გფრ-ის ფეხბურთელებმა თავიანთი სამზადისის ბოლო მატჩი ჩაატარეს სტოკჰოლმში და დამარცხდნენ შვეციის ნაკრებთან — 1:3. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა (ბონჰოფი), შემდეგ შიობერგმა გაიტანა საპასუხო ბურთი, ხოლო შესვენების შემდეგ ლ. ლარსონმა და ნილსონმა კიდევ ორჯერ აიღეს გერმანელთა კარი.

— ძალზე უკმაყოფილო ვარ ჩვენი გუნდის თამაშით, — თქვა მატჩის შემდეგ გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა ჰ. შიონმა. — წავაგეთ იმიტომ, რომ ვერაფერი დავუპირისპირეთ მეტოქის მიერ არჩეულ ტაქტიკას. თუ შვეციის ნაკრებმა ასევე ითამაშა არგენტინაში, მას თავისუფლად შეუძლია პრეტენზიები განაცხადოს მედლებზე.

— ჩვენ ყურადღებით შევისწავლეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბრაზილიის გუნდების მატჩის ვიდეოჩანაწერი, — აღნიშნა შვედების მწვრთნელმა გ. ერიქსონმა. — და ავირჩიეთ შესაბამისი ტაქტიკაც, რომელმაც წარმატება მოგვიტანა.

ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა თავიანთი ტურნეს მორიგი მატჩი ჩაატარეს ლონდონის „უემბლის" სტადიონზე და ფრედ (1:1) დაამთავრეს იგი ინგლისის ნაკრებთან.

ბრაზილიელებმა გოლი გაიტანეს უკვე მე-9 წუთზე (ჟილი), ხოლო 70-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა ინგლისელთა კაპიტანმა კიგანმა. მატჩი მიმდინარეობდა დაძაბულად, ხშირი იყო დარღვევები, რისთვისაც ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა ზე მარიამ, ედინიომ, კერეზომ, ბატისტამ და აბელმა გაფრთხილებები მიიღეს არბიტრისგან (მსაჯობდა ჰოლანდიელი კორვერი). დაბრუნების წინ მათ ესპანეთში უნდა ითამაშონ მადრიდის „ატლეტიკოსთან".

ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა არგენტინის ნაკრებმაც, რომელმაც შინ მიიღო ირლანდიის გუნდი. გაიმარჯვეს არგენტინელებმა — 3:1. მათი მხრივ ბურთები გაიტანეს ლიუკემ, ორტიზმა და ვილამ, სტუმართა მხრივ კი ბრედიშმა.

### ფეხბურთი

## სსრ კავშირის თასზე

მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელებმა სსრ კავშირის თასის გამთამაშების მერვედფინალური მატჩი ფრედ ითამაშეს ცსკა-სთან — 1:1 და ორი შეხვედრის ჯამში (პირველი მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 2:1) გავიდნენ მეოთხედფინალში.

## უმაღლეს ლიგაში

**20 აპრილს** მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „ლოკომოტივსა" და ბაქოს „ნეფთჩის" შორის. გაიმარჯვეს რკინიგზელებმა — 2:1.

„ნეფთჩის" კაპიტანმა რახმანოვმა ამ მატჩში გაიტანა 2 ბურთი, მაგრამ ერთი — საკუთარ კარში. ლოკომოტიველთა მეორე გოლის ავტორი იყო ხვერიანოვი.

## პირველი ლიგა

**20 აპრილს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების III ტურის მატჩები.

ქუთაისის „ტორპედო" კიშინიოვში შეხვდა ადგილობრივ „ნისტრუს". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო" (მინსკი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:0, „კარპატი" (ლვოვი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 3:2, „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 0:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 2:0, „დინამო" (ლენინგრადი) — „პამირი" (დუშანბე) 1:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 0:0, ასკ (ოდესა) — ასკ (დონის როსტოვი) 1:1, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „კუზბასი" (კემეროვო) 2:1.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს" მეთხუთმეტე ტირაჟისა, რომელიც მოსკოვში 15 აპრილს მოეწყო.

**პირველი:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 230, სამისთვის — 7.

**მეორე:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება აქაც 5000 მანეთია, ოთხისთვის — 341, სამისთვის — 8.

მოგებული თანხა გაიცემა 26 აპრილიდან 26 მაისის ჩათვლით.

### ჩოგბურთი

## როგორ უნდა მოუგო ბორგს?

**ამ პრობლემის** გადაწყვეტას ცდილობს მსოფლიოს ბევრი ჩოგბურთელი, რომელთაც არ ასვენებთ უიმბლდონის ტურნირის ორგზის გამარჯვებულის, სტაბილური და დამაჯერებელი თამაშისთვის „ჩოგბურთის მანქანად" წოდებული 21 წლის შვედი სპორტსმენის დაფნის გვირგვინები.

ბიორნ ბორგის მეტოქეთა რიცხვშია 24 წლის ვიტას გერულაიტისი. ეს ამერიკელი სპორტსმენი, რომელმაც ვერ დაივიწყა უიმბლდონ-77-ის ნახევარფინალში ბორგთან დამარცხება, ფეხდაფეხ დასდევს მას ტურნირიდან ტურნირში.

ამჯერად ბორგი და გერულაიტისი ერთმანეთს შეხვდნენ კოპენჰაგენში ოთხი ჩოგბურთელის მინი-ტურნირის ფინალში. მანამდე ბორგმა დაამარცხა ინგლისელი მარკ კოქსი — 7:5, 6:2. ხოლო გერულაიტისმა — არგენტინელი გილერმო ვილასი — 6:2, 6:1.

ფინალში გერულაიტისმა კვლავ (მეექვსედ უიმბლდონის ტურნირის შემდეგ) იწვნია მარცხის სიმწარე 6:2, 4:6, 4:6. (საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**

(აკ. წერეთლის პრ. № 2)

**22, 23 და 24 აპრილს**

**ჩეხოსლოვაკიის ატრაქციონი „ავტოროდეო"**

**(ავტომანქანების მოთვინიერებლები)**

დასაწყისი: 22 და 24 აპრილს — 19 საათზე; 23 აპრილს — 15 საათზე.

ბილეთები გაიყიდება „დინამოს" სტადიონის სალაროებში დილის 10 საათიდან. ადრე გამოცხადებული 21 აპრილის ატრაქციონის გამოსვლა გადატანილია 24 აპრილისთვის.

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 22 აპრილი. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი). დასაწყისი 15 ს. ასკ-ის სტადიონი. „სპარტაკი" (თბილისი) — „სქური" (წალენჯიხა). 17 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უდ 02957